ოქმი:**ო63. 63241982**
თარიღი:**16/07/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა რიგგარეშე

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N10

ქ. სამტრედია 9 ივლისი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 9 ივლისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, გოჩა არველაძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, აკაკი მინაშვილი, გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის“ ბუღალტერი- ენძელა პატარიძე.
2. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ ხელმძღვანელი- ივანე კილტავა.
3. პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - დავით ბაღდავაძე.
4. მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელი - მედეა ლეჟავა.
5. მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვის, ფორმირების და საფინანსო ზედამხედველობის საკითხებში - მაკა სეხნიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დღის წესრიგი:

1.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2024

წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ,“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ,“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით დამტკიცებულია წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, .,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ,“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 05/07/ივლისის N62-622418778 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, 2024 წლის საკუთარი შემოსავლები იზრდება 45.0 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯებში საქონელი და მომსახურება იზრდება 45.0 ათ.ლარით (მივლინების მუხლი - მივლინება ქვეყნის გარეთ). აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია „ლევილის ქართულ ფესტივალში“ მონაწილეობის მიზნით. აღნიშნულ თანხას აფინანსებს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ასევე მცირდება საკუთარი შემოსავლების ნაშთი 0.2 ათ.ლარით, შესაბამისად საქონელი და მომსახურება მცირდება 0.2 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 9(ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, .,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ,“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 05/07/2024წ. N62-622418777 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება .,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდია იზრდება 10.0 ათ.ლარით და განისაზღვრა სულ 332.40 ათ.ლარით; შესაბამისად ხარჯების ნაწილში საქონელი და მომსახურება იზრდება 10.0 ათ.ლარით. ცვლილება გამოწვეულია კალათბურთში სპორტული კალენდრის დაუგეგმავი ცვლილებებით, დაემატა Jr.h ba (ჯუნიორ ენ ბე) და C-14 (ბიჭები), ფეხბურთის ტურნირები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩანაწერი Jr.h ba და C-14არის არასწორი და უნდა იყოს Jr. N B A და C-ლიგა U 14.

აზრი გამოთქვა: ჯონი ახობაძემ.

ჯონი ახობაძე - მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო Jr. N B A (ჯუნიორ ენ ბე) 14 წლიანთა გუნდს პირველ ადგილზე გასვლა საქართველოს მასშტაბით. ვუსურვებ წარმატებებს და მომავალშიც შედეგიან ასპარეზობებს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 9(ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოვიდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 05/07/2024წ. N62-622418779 წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს. კერძოდ, „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის N746 განკარგულების საფუძველზე სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტის ფარგლებში მოწესრიგდეს გეგმა, კერძოდ: შემცირდეს **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 45.7 ათასი ლარით, **05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 136.7 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 182.4 ათასი ლარით;

შემცირდეს:

- **01 01 02 კოდი სამტრედიის მერიის** საქონელი და მომსახურების გეგმა - 30.0 ათასი ლარით;

- **შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს:**

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 20,0 ათასი ლარით;

- **05 01 02 02 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის** სუბსიდიის გეგმა - 10.0 ათასი ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 9(ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ლია ყურულაშვილი/

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა
კომისია-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი